წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. შაბათი, 17 ენკენისთვე 1916 წ. № 206

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კნელზე—10 კ., კაკანის გარეშე მიღებულ განცხადებაში [illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
ფრანგეთში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხარიტონ შანშიაშვილი.

## აკაკის სახელობის ქართული საბავშვო ბაღი ან. გედევანიშვილისა.

მიიღება ბავშვები 3—7 წლამდე. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. ჩაწერა შეიძლება სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში, დილის 10—1 საათამდე. (4—336—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)

შაბათს, 17 ენკენისთვეს,

**ქართული წარმოდგენა და სიმებიანი ორკესტრი**

კვირას, 18 ენკენისთვეს,

**წარმოდგენა პატარა რუსულ ენაზე და საზანდარი**

ორშაბათს, 19 ენკენისთვეს,

**სინემატოგრაფი და სამხედრო მუსიკა**

დასაწყისი სინემატოგრაფისა 8 1/2 ს. და წარმოდგენებისა 9 საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. (3—252—2)

## სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა ქართულსა და რუსულს ენაზე

| | | |
|---|---|---|
| I განყოფილება | — | დიქცია და დეკლამაცია. |
| II „ | — | პლასტიკა და გიმნასტიკა. |
| III „ | — | თეატრის ისტორია. |
| IV „ | — | ესტეტიკა. |
| V „ | — | პრაქტიკული მეცადინეობა. |

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43. დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და საღამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა. (თ.—230—17)

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

**კახური ღვინო**

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. (185—წ.)

## შეშის საწყობი ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზ

**საკუთარი ტყიდან**

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## საუკეთესო კახური ღვინის საწყობი ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი. (102—წ.)




„ფრანციის" ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი" და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში" სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე პარიზის" წინანდელი პატრონი
(თ. 253—1) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გიგიბერია.

## ახალი მელანი კოტე ონიკაშვილისა

მელანი ასლის ასაღებადაც („კაპიროვკისთვის") კარგია

**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.

ფუთი უბრალო შუშით 40 მან.

სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.

✦ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ✦

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

## ექიმი ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი**, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606"

შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

✦პროვიზორის ახვლედიანისა✦

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზისტაფონში

## ექიმი დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## მასწავლებელი ქალი

გამოცდილი რუსულ ენის მასწავლებელი ქალი, უმაღლეს სწავლით, გადმოხვეწილი, **პირობით იყვანს მოწაფეებს** გაკვეთილების მისაცემად თანახმაა, ბინაზეც დადგეს, ანუ სადილის ფასში იმეცადინოს, თუ არა და ფულით. იცის აგრეთვე მუსიკაც, უკრავს როიალზე.

**მისამართი:** მიხაილოვის ქ. № 44, Довостребованія. მასწავლებელს ქალს ე. ა. ვდავიაკს. (1—1—1)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## მიმოსვლის საკითხი

რაც სხეულისათვის ძარღვებია, ის ქვეყნისთვის გზებია და გზების უქონლობა იმას ჰგავს, რომ ადამიანს გადაჭრილი ჰქონდეს მასაზრდოებელი არტერიები. საქართველო სწორედ ისეთ ორგანიზმს წააგავს, რომელსაც მეტის-მეტად განუვითარებელი აქვს სისხლის მომქცევი სისტემა. საკმაოა რუკაზე ერთი თვალის გადავლება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის შუაგულსა და განაპირა კუთხეებს ორიოდე დიდი ძარღვი აერთებს: ერთია თბილის-ბათუმის ლიანდაგი, მეორე—თბილის-თელავისა. ამათ ზედ ერთვის ტყვიბულის, ჭიათურის, ფოთის, სურამის და ბაკურიანის შტოები და რამოდენიმე საფოსტო ტრაქტი, რომელთ შორის უმთავრესი საქართველოს სამხედრო გზაა. ესაა და ეს: ჩვენს სამშობლოს ამის მეტი არც ხეირიანი გზატკეცილი გააჩნია, არც უბრალო საურმე და საცალფეხო გზა. ძნელი ასაწერია ის მდგომარეობა, რომელშიც ზოგიერთი ჩვენი პროვინცია ვარდება ჩაზამთრებისას. მოუკირწლავი გზები ტალახდება, სოფელი სწყდება არა თუ მახლობელ სამაზრო ქალაქსა ან რკინის გზის სადგურს, არამედ მეზობელ სოფელსაც, მცხოვრებლები პირველ-ყოფილი ადამიანების მდგომარეობაში ვარდებიან და იძულებული ხდებიან ელემენტარული ადამიანური მოთხოვნილებები საკუთარი ძალღონით დაიკმაყოფილონ ფანტასტიურ კუნძულზე გარიყულ რობინზონივით, ეს ითქმის არა მარტო ისეთ, ღვთისა და კაცის მიერ დავიწყებულ კუთხეებზე, როგორიც თიანეთის მაზრა, ზემო აჭარა ან სვანეთია, არამედ თვით იმერეთისა და ქართლის სოფლებზე, განსაკუთრებით იმათზე ლიხის მთას რომ აკრავენ აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ძნელია სავსებით იმ სიდუხჭირის გათვალისწინება, რომელსაც უგზოობა ჰქმნის ჩვენში. ეს გარემოება არაჩვეულებრივად აძნელებს, ხან და ხან პირდაპირ შეუძლებლად ჰქმნის სოფლის სამეურნეო ნაწარმოებების გამოზიდვას; ჩვენი მიწათმოქმედების ნაყოფი-ხილი, ბოსტნეულობა, ღვინო სათუთი თვისებისაა და ადვილად ვერ იტანს ხანგრძლივ მოგზაურობას ურმითა და ხარ-კამეჩებით. რკინისგზის ლიანდაგის სიშორე აფერხებს მასსიურ აღებმიცემობას, ქალაქის ბაზარზე აძვირებს სამეურნეო ნაწარმოებს, მიუწდომელი კომფორტის საგნად ჰხდის უბრალო ვაშლსა და შავქლიავს. ამიტომ ხშირია ისეთი ახირებული მოვლენა რომ სოფელში ხილი და მწვანილი უაზროდ ლპება, სამაზრო ან საგუბერნიო ქალაქში კი კარტოფილი არ იშოვება.

მაგრამ უგზოობა აფერხებს არა მარტო ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობას, არამედ კულტურულ ცხოვრებასაც. ჩვენი სოფლები უმეტეს შემთხვევაში მცირერიცხოვანი და ღარიბია. მას არ ძალუძს საკუთარი ძალღონით სკოლისა, სამკითხველოსი, აფთიაქისა ან საექიმო პუნქტის შენახვა და საზრდოება. კულტურული დაწესებულება ხშირად ერთია მთელს დიდს რაიონზე. გასაკვირალი არ არის, რომ უგზოობის გამო ხალხი მოკლებულია მედიცინურსა და ვეტერინარულს დახმარებას, სკოლები კი ხშირად ცალიერი რჩებიან სწავლის სურვილის მიუხედავად.

უგზოობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მიწის ღირებულება და რენტა არაჩვეულებრივად განსხვავდება მოსაზღვრე რაიონებში. რკინის გზის ახლო დღიური მიწის ფასი ხშირად ას თუმანს სცილდება, ცოტა მოშორებით ორ თუმნამდე ჩამოდის. მთის საუცხოვო იალაღები და ტყეები კი თითქმის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ და არავითარ შემოსავალს არ იძლევიან, იმდენად მიუწდომელნი არიან თვით მესაკუთრეებისთვის.

არა თუ კულტურულად დაწინაურებულ ევროპასა და ამერიკაში, თვით შიდა რუსეთშიაც არ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომელიც საქართველოსავით ჩამორჩენილი იყოს მისვლა-მოსვლის მხრით. ეს იმითი აიხსნება, რომ რუსეთის შუა გუბერნიებში ერობა მოქმედებს ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ჩვენში კი არ არსებობს არც სახელმწიფო დაწესებულება, არც ადგილობრივი თვითმართველობა, რომელიც გზების გაყვანაზე და შეკეთებაზე ზრუნავდეს. თუ რამე კეთდება, კეთდება ისევ საშუალო-საუკუნოებრივი ინსტიტუტის, ეგრედ წოდებული გზის ბეგარის შემწეობით. კეთილშობილი წოდება თავისუფალია ამ ბეგრისაგან, გლეხობა კი მხოლოდ იქ გამოჰყავთ, სადაც გზის გაყვანა საჭირო და შესაძლებელია მთავრობის თვალსაზრისით. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლივ ორ მილიონ მანეთამდე იკრიფება საერობო გადასახადის სახით. ამ თანხის ერთი ნაწილი გზებსა და ხიდებს უნდა ხმარდებოდეს მაინც, მაგრამ სინამდვილეში ამოდენა თანხა უმეტეს ნაწილად საერობო დარაჯების და მთავრობის დაწესებულებების შენახვას უნდება, საკულტურო და საგრონომიო საქმეებისათვის კი ნამცეცები ღა რჩება.

ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევი გზა ერთად-ერთი სჩანს ჯერჯერობით. სანამ სახელმწიფოს თავის კულტურული მოვალეობა არ შეუგნია, სანამ ის მხოლოდ ხარკის ამკრეფ და ბეგრის დამდებ დაწესებულებას წარმოადგენს, ხალხის თვითმოქმედება და თვითმართველობაა საჭირო უპირველესი ეკონომიური და კულტურული საქმეების გასაძღოლად. ერობა და კოოპერაცია ამ სიტყვების უფართოესი მნიშვნელობით—აი ის დაწესებულებები, რომელთაც უნდა ითავონ ხალხის ხელმძღვანელობა გზების კეთებაში და მისვლა-მოსვლის მოწესრიგებაში.

ვ. ლელიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ჰინდენბურგის დანიშვნამ გერმანეთის სამხედრო შტაბის უფროსად უკვე თავისი შედეგი მოიტანა. ბრძოლის ველზე ცვალებადობა მოხდა და ჩვენც მას შემდეგ აშკარად ვხედავთ, თუ ნელნელა საით იხრება მთავარი ყურადღება მოპირდაპირესი. ომის დაწყებიდან დღევანდლამდე გერმანეთის მთავარ შტაბს ერთი მეტად რთული საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი-სად, ე. ი., რომელ ასპარეზით უნდა ემოქმედა მას აქტიურად. საჭირო იყო გადაჭრით გაერკვია ეს და შესაფერისადაც დაეწყოთ მოქმედება. პირველ ხანებში გერმანელებმა საფრანგეთის ასპარეზი აიჩემეს თვალში და გამალებულნი ეკვეთნენ კიდევაც. რაც აქ მოხდა, ყველამ კარგათ იცის. ორივე მოპირდაპირე იმდენად ძლიერნი გამოდგნენ, რომ საგრძნობელი მარცხი და განადგურება ვერც ერთმა ვერ შესძლო. მას შემდეგ კარგა ხანია პოზიციური ბრძოლა გრძელდებოდა. ვერდენის ოპერაციის დაწყებით გერმანელებს აზრათ ჰქონდათ კიდევ ერთხელ ეცადნათ დასავლეთის ასპარეზთან თავიანთი ბედიღბალი, მაგრამ კიდევ მოსტყუვდნენ: საფრანგეთი მათ საგრძნობლად გაუმკლავდა და გერმანელებიც იძულებულნი შეიქმნენ შესაფერისად შეესწორებინათ თავიანთი სამოქმედო გეგმა ამას მოჰყვა ბალკანეთის საკითხის გართულება. რუმინეთის გამოსვლამ ბალკანეთის მდგომარეობა საშინლად გაამწვავა. უპირველესად რუმინეთი ცენტრალურ სახელმწიფოებს ერთმანეთის დაშორებას უქადდა. საჭირო იყო ახლაც გადაეწყვიტა გერმანეთს შემდეგი საკითხი: შეინარჩუნოს ბულგარეთი, ოსმალეთი და თვით ავსტრიაც, თუ ისევ საფრანგეთს მიაქციოს მთავარი ყურადღება და მის წინააღმდეგ დაიწყოს მთავარი

შეტევა რასაკვირველია, გერმანელები ჰფიქრობენ და ჰფიქრობდნენ იმაზე, თუ ჯერ რომელი მოპირდაპირე შეასუსტონ, მოიშორონ თავიდან საფრანგეთი თუ აღმოსავლეთის მოპირდაპირენი. ახლაც ასეთი მდგომარეობა აიძულებთ ჯერ ბალკანეთის საკითხი გადასწყვიტონ და შემდეგ სხვა რომელიმე მოპირდაპირე ამოიღონ მიზანში.

ჰინდენბურგის გეგმის შედეგები უკვე ნათლად გვიმტკიცებენ, რომ მან ძველებურად მთავარ სამოქმედო ასპარეზად აღმოსავლეთი ამოირჩია და მიზნის მისაღწევად შესაფერისადაც ანაწილებს ჯარს.

ამავე დროს ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ადგილებში სწორეთ გერმანელების მხრივ ახმაურებას; უკვე ორი-სამი დღეა, რაც მათი მზვერავი რაზმები რიგის მიდამოებში განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას. ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებასაც რომ მალე მდინარე დვინა და მთელი რუსეთის ბრძოლის ასპარეზი გაიყინება. ზამთრის კამპანიის წარმოება არც ისე ძნელია, თუ რასაკვირველია ჯარი შესაფერად არის ამისთვის მომზადებული. რიგა-დვინის ბრძოლის ხაზს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელებისთვის, რომ უსათუოდ, თუ კი მათ მართლაც სურთ მთავარი ოპერაცია რუსეთის წინააღმდეგ დაიწყონ, შეეცდებიან მდინარის გადალახვას და ან წვერის გაღრმავებას. ადვილი წარმოსადგენია, აქ ახლო მომავალში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდება.

გუშინდელი ოფიციალი დეპეშაც ერთპირად ადასტურებს გერმანელების მიერ ახალ გეგმის განხორციელების დაწყებას. კოველის და ვლადიმერ-ვოლინის მიმართულებით, სახელდობრ, სვინიუხის და კორიტნიცის მიდამოებში სასტიკი ბრძოლა გაჩაღებულა. ჩვენ არა ერთხელ გავაცანით მკითხველს, ამ ბრძოლის ხაზის სტრატეგიული მნიშვნელობა და დაუკავშირეთ კიდეც რუმინეთის ბრძოლის ასპარეზთან.

ცხადია, რომ გერმანელებმა ჰინდენბურგის გავლენით შესცვალეს თავიანთი სამოქმედო გეგმა და მთავარი ოპერაციების წარმოებისათვის ამოირჩიეს, როგორც ბალკანეთი, ისევე რუსეთის ბრძოლის ველი. რიგიდან მოყოლებული, ვიდრე ბალჩიკამდე ახლა ერთი სამოქმედო ასპარეზი გახდება და ყოველი ცვლილება ამ უშველებელ ბრძოლის ხაზზე გამოწვეული იქნება ერთის გეგმის მიხედვით. მაკენზენის მოქმედებას დობრუჯაში შეიძლება მოჰყვეს შესაფერისი ოპერაცია ან რიგა-დვინის ხაზის ან და კოველის და ვლადიმერ-ვოლინის მიმართულებით.

რაც შეეხება დასავლეთ ბრძოლის ასპარეზს, აქ უეჭველია გერმანელები წინასწარ გარკვეულ მიზნით მოქმედებენ. ვერდენის ოპერაციამ არც ისე უშედეგოთ ჩაიარა გერმანელებისათვის, როგორც ბევრი ჰფიქრობს. სწორედ ამ ოპერაციების შედეგებმა აიძულა ფრანგები და ინგლისელები შეტევა ჩრდილოეთით მდ. სომიდან დაეწყოთ. თუ რამდენად ხელსაყრელია ამ მიდამოებით წინსვლა ფრანგებისათვის, ჩვენ ამის შესახებ უკვე ჩვენი აზრი გამოვსთქვით. ერთი კია, რომ ფრანგებს ახლა პირისპირ უხდებათ ბრძოლა. შემოსავლელი გზა მათ ვერდენის ოპერაციის შეოხებით უკვე ჩაეკეტათ. მიუხედავად ყველა ამისა, ფრანგები დაბოლოს აიძულებენ გერმანელებს დასტოვონ საფრანგეთის მიწა-წყალი და თავის საზღვრებისკენ დაიხიონ.

X

# ომის დეპეშები

## უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**16 ენკენისთვე**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის დასავლეთით მტერი შეეცადა ჩვენს თხრილებს მოახლოვებოდა, მაგრამ მოვიგერიეთ. 14 ენკენისთვეს, საღამოთი, ქ. პინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ დიდძალი ყუმბარები დაგვიშინა, შემდეგ მტრის პატარა რაზმები იერიშითაც წამოვიდნენ, მაგრამ მაშინვე სროლით შევაჩერეთ. ბუბნოვისა, სვინიუხისა და კორიტნიცის მიდამოებში ბრძოლა განახლდა. მოპირდაპირე თავგამოდებით იბრძვის და განმეორებითი სამაგიერო იერიშებით მოდის და ჩვენს შეტევას აჩერებს.

**ბალტიის ზღვაზე.** 13 ენკენისთვეს დილით ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანებმა ლეიტენანტ გორკოვენკოს უფროსობით მტრის ჰაეროპლანების სადგურზე მიიტანეს მარჯვე იერიში ანგერინის ტბასთან და ყუმბარები დაუშინეს. მტრის ოცი ჰაეროპლანი შეებრძოლა ჩვენსას. უთანასწორო ბრძოლის დროს, სამწუხაროდ დაიღუპა სახელოვანი ლეიტენანტი არსენი გორკოვენკო თავისი ჰიდრო-ჰაეროპლანით.

—

15 ენკენისთვე

**ბუქარესტი.** რუმინეთის ოფიციალი ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. ყალიმანის მთებში და გირგიუში (დიერდიო) ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა იყო. სიბიუს (გერმანშტატის) სამხრეთით ცხარე ბრძოლა გრძელდება. ჟიუს ველში ჩვენმა ჯარმა იერიშით უკუ აგდო მტერი და სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით დაახევინა. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი და 100 ტყვე, მათ შორის 2 აფიცერი. სამხრეთის ასპარეზზე ზარბაზნებით ბრძოლა იყო. დობრუჯაში სიწყნარეა.

13 ენკენისთვეს მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს ბუქარესტსა და ბუქარესტის სამხრეთით მდებარე სოფლებს. ყუმბარებმა იმსხვერპლა დედაკაცები და ბავშვები. „ცეპელინმა“ ბუქარესტს 14 ენკენისთვეს ცეცხლის მომდები ყუმბარები დააყარა. მოჰკლეს 1 დედაკაცი, 1 დასჭრეს. „ცეპელინი“ ჩვენმა ზარბაზნებმა განდევნეს. ტოპლიცის მიდამოებში მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**რიგა.** 14 ენკენისთვეს რიგის გარეუბნებს მტრის ჰაეროპლანი დასტრიალებდა. სროლა ავუტეხეთ. ჰაეროპლანი მტრის ბანაკისაკენ მიფრინა.

**16 ენკენისთვე**

**ოდესა.** რუმინეთიდან მიღებულ ცნობებით, წარსულ კვირას 10 ათასი ოსმალო ჯარისკაცი, მცირე აზიის ასპარეზიდან წამოყვანილი, ადრიანოპოლზე გაატარეს და ბულგარეთ-რუმინეთის ასპარეზზე გაისტუმრეს.

**ლონდონი.** დღეს დილით ჩვენი საზღვაო ჰაეროპლანები ბრიუსელის მახლობლად თავს დაეცნენ მტრის ჰაეროპლანების სადგურებს ევერსა, ბერხენსა, სიტაგატსა და ეტერმეხში. სჩანს, სადგურები დაზიანეს, რადგანაც სქელი ბოლი ამოვარდა ნასროლ ადგილიდან, ჩვენი საფრენები უვნებლად დაბრუნდნენ.

საფრანგეთში მოქმედ ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა. ჩვენ ოკურლაბეს აღმოსავლეთის სიმაღლეებს მივაღწიეთ. ტიენვალის ჩრდილო აღმოსავლეთით ერთის შეტევით ავიღეთ ადგილი, ეგრედ წოდებული „ტყის კიბე“. კომბლში დიდძალი სურსათი დაგვრჩა დავლად. კომბლის აღების დროს და წინა ორი კვირის განმავლობაში ტყვეთა რიცხვი 10 ათას უდრის. გუშინ მტრის 2 საფრენი დავღუპეთ. ჩვენი 2 საფრენი აღარ დაბრუნებულა.

# ქურნალ-გაზეთებიდან

## არეულობა საბერძნეთში

კავალასა და თაზოსის კუნძულის შორის მიმოსვლა შეწყვეტილია. კავალაში 15 ათასი ბერძენია მომწყვდეული, რომელთაც გასაქანი არსაითა აქვთ. ლემნოსის, სამოსის, მიტილენის, ხიოსის, კრიტოსის და კეთალონიის კუნძულებზე მეამბოხენი მთავრობისაგან მოითხოვენ მოკავშირეებს მიემხროს და ომში ჩაერიოს. აირჩიეს ეროვნული კომიტეტი და საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს. მეამბოხეთა დამამშვიდებელი აღარავინაა, რადგანაც საბერძნეთის ფლოტი მოკავშირეთა ფლოტს მიმწყვდეული ჰყავს. გუნარისის მომხრეებს ათინაში მთელი ხალხი ხელში უჭირავთ და შიშის ზარსა ჰგვრიან. შეიარაღებულნი შედიან სახლებში და ბევრს ატუსაღებენ. ვენიზელოსის მომხრენიც იარაღდებიან. ქალკიდონიის ნახევარ კუნძულზე მეამბოხეთა მოქადაგენი თავს უყრიან მოხალისეებს სათადარიგო ჯარისკაცებისაგან. მეამბოხეთა მხარეზეა ეხლა 300 აფიცერი, ე. ი. თითქმის ერთი მეათედი საბერძნეთის მთელი აფიცრობისა. მეამბოხეთა შორის არის: ერთი დივიზიის გენერალი, ერთი ბრიგადის გენერალი, ექვსი პოლკოვნიკი, თხუთმეტი კაპიტანი.

მეფე კონსტანტინე ხანგრძლივ ეთათბირა მინისტრ-პრეზიდენტ კალოგერაპულოსს და საზღვაო მინისტრს დამიანოსს.

მინისტრ-პრეზიდენტი მოკავშირეებს კვლავ ტკბილ ჰანგებს უმღერის. იმავე დროს დიდი შეთქმულობა მზადდება მოკავშირე სახელმწიფოთა და ვენიზელოსის მომხრეთა წინააღმდეგ.

ათინაში მეფის ჯარი 17 ათასიდან 25 ათასამდე აიყვანეს. მეამბოხეთა გარდა მთელი აფიცრობა ათინაშია თავმოყრილი და გარნიზონებში დანაწილებული. მეფის ციხე-დარბაზს ტატოის ამაგრებენ.

კავალას სიმაგრეებს ინგლისის ესკადრა ზარბაზნებს უშენს. ესვრიან ამ სიმაგრის ძირში დაბანაკებულ ბულგარეთის ჯარს.

მოკავშირეთა დესპანებმა დიდხანს ითათბირეს ვენიზელოსთან.

## რუმინეთის ვითარება

მიხაილოვსკი სწერს: გერმანელებს დობრუჯაში მოქმედებით ჰსურთ, თუ მთლად არ მიატრიალონ ომის ბედი თავის სასარგებლოდ, ისე მაინც წაიყვანონ საქმე, რომ ადგილობრივი გამარჯვებით შესაძლებელი გახადონ ზავის თაობაზე სიტყვის ჩამოგდება. ასეთია მიზანი მაკენზენის მოქმედებისა დობრუჯაში. დობრუჯის მიდამოებში რუსეთ-რუმინეთის ჯართან შენარცხებას ორი მიზანი აქვს. მაკენზენს იმედი აქვს, რომ რაკი დობრუჯაში მოკავშირეთა ჯარს დასთრგუნავს, ამითი ბულგარეთის ჯარს ჩრდილოეთის მხრივ მტრის შემოტევის განსაცდელს აცდენს. მაშინ ბულგარეთის ჯარი არხეინად გაემართება მონასტირისაკენ და სარაილის ჯარს ღირსეულს პასუხს გასცემს. მეორეც დობრუჯაში შეტევა საგონებელში ჩააგდებს რუმინელების სატახტო ქალაქ ბუქარესტის ბედს და მეფე ფერდინანდს იძულებულს გახდის ტრანსილვანიიდან ჯარი დობრუჯისაკენ დასძრას. ამითი კი დიდად შეუმსუბუქებს საქმეს ტრანსილვანიაში მომქმედ ავსტრია-გერმანელთა ჯარს. მაგრამ ორი კურდღლის მდევნელი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო, ამბობს მიხაილოვსკი.

მაკენზენმა 24 მარიამობისთვეს მარჯვედ შეუტია მოკავშირეებს და იძულებული ჰყო დაეტოვებინათ ტურტუკაი. 26 მარიამობისთვეს მაკენზენმა მოკავშირეთა მარჯვენა ფრთას მოუარა და რუსეთ-სერბეთ-რუმინეთის ჯარი იძულებული გახადა ძველ რუმინეთის მიჯნებისაკენ დაეხია სილისტრია-მანგალას ხაზისაკენ. 30—31 მარიამობისთვეს ამ ხაზზე მოკავშირეთა ზურგის ჯართან ცხარე ბრძოლა ჰქონდა მაკენზენის მრავალრიცხოვან ჯარს. მაშინ მოკავშირეებმა მოპირდაპირეს სილისტრიაც დაუთმეს. 3 ენკენისთვეს დაიწყო ბრძოლა ყარაორმან (დუნაიზეა)—ტუზლას (შავის ზღვის პირად) ხაზზე. ბრძოლამ ოთხ დღეს გასტანა. რუმინეთის შტაბის ცნობით, აქ მოპირდაპირე დამარცხდა. მაკენზენს 3000 მეომარი დაუტყვევეს და 12 ზარბაზანი დაატოვებინეს. დობრუჯის საშველად ადრიანოპოლიდან გადმოიყვანეს ოსმალთა ერთი დივიზია. რუმინელთა მარცხენა ფრთაზე მდ. ჟიუს სათავესთან რუმინელების ჯარი დამარცხდა. აქ მოქმედებდა გერმანელების დიდძალი ჯარი. რუმინელებმა დასთმეს პეტროჩენი და თავის საზღვრისაკენ დაიწიეს. აქ შეჩერდა მტრის შემოტევა.

# უკანასკნელი დეპეშები

ამბობენ, საბერძნეთის მთავრობამ სურვილი განაცხადა განსაზღვრულ პირობებით მოკავშირე სახელმწიფოებს მიემხროსო. მაგრამ ამის გამო მოკავშირეებს ეჭვი ეპარებათ და ამბობენ, რომ საბერძნეთს ამით ჰსურს მხოლოდ დრო მოიგოს და ფული ჩაიჩხრიალოსო. მოკავშირეები საბერძნეთთან მოლაპარაკებას ზედმეტ შრომად და უადგილოდ სთვლიან.

—

კუნძულ კრიტზე მოძრაობა თან და თან ფართო ხასიათს იღებს. ამბობენ აჯანყებულთა რიცხვი 11 ათასამდეაო. კუნძულის ხუთ ოლქიდან ოთხი ოლქი ვენიზელოსის მომხრეა.

—

ინგლისში გადაუწყვეტიათ სახელმწიფო კანცელარიის მოხელენი რიცხვით 50,000 ჯარში გაიწვიონ. მათ ნაცვლად ქალებსა და მოხუცებს ამუშავებენ.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: ინგლისში მუშაობა სწარმოებს ჯარის რიცხვის გასადიდებლად. „ტაიმსი“ სწერს: მომავალ გაზაფხულზე ომი უფრო მკაცრს ხასიათს მიიღებს. ინგლისელებს არავითარი უფლება არა გვაქვს ვიიმედოთ, რომ გერმანელებს ცოცხალ ძალას შეუმცირებთო. როდესაც გერმანელები ბელგიიდან, საფრანგეთში დაპყრობილ ქვეყნებიდან და პოლონეთიდან თავიანთ ქარხნებში ხალხს გაჰგზავნიან, მებრძოლი ძალა უფრო მოემატებათ. 1917 და 1918 წლის გასაწვევი ჯარი ჯერ გერმანელებს ბრძოლის ველზე არ გაუყვანიათ. ინგლისელებმა უნდა კარგად ვიცოდეთ; ვიდრე გერმანეთი თავის თავს დამარცხებულად იცნობს, მთელს თავის ძალას მოიკრეფს, 16 წლიდან 60 წლამდე ბრძოლის ველზე გამოიყვანს. ჩვენი ცდა ის უნდა იყოს, რომ გერმანეთზე მეტი ჯარი მოვკრიფოთო.

—

ათინიდან იტყობინებიან: საბერძნეთის მეფემ კონსტანტინემ ახლად გაწვეულ ჯარის კაცებს სიტყვით მიმართა და დაჰგმო ის მეომრები, რომელნიც მოკავშირეებს მიემხრნენ და ხელი შეუშალეს გერმანეთ-ბულგარეთის ჯარი მაკედონიაში შემოსულიყოო.

—

პეტროგრადში ხმა გავრცელდა: პროტოპოპოვს შინაგან საქმეთა მინისტრად ჰნიშნავენო.

—

ფრანგებმა კომბლი აიღეს. მის გარე უბნებში ბევრი დახოცილი გერმანელი მეომრები ყოფილა. ტყვედ წაუყვანიათ 15 გერმანელი, მათშორის 1 აფიცერი. პატარა სოფელი კომბლი გერმანელებს თურმე ძალიან გაუმაგრებიათ, შიგ მხოლოდ მცირე რაზმი დაურჩენიათ და უბრძანებიათ, ისე იგერიეთ მტერი, ვითომც ციხე-სიმაგრეში სხედხართო. ამითი-თუ აიხსნება კომბლის აღების დროს ასეთი მცირე რიცხვი ტყვეებისა.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო დაწვრილებით ცნობა ქალდ. დარჩიაშვილის უკანასკნელი დღეების შესახებ. ცნობა ამ დღეებში დაიბეჭდება.

—

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებულ იქნება: სიკვდილთან ცეკვა, ნახატი ვლ. ს. ერისთავისა, ქართველი ქალები პოზიციაზე, ქართველი ტიპები, სურათები ბრძოლის ველიდან, ორი კარიკატურა ჯაბარზე.

ლექსი ბაჩანასი, მოთხრობა „უბედური რუსი“—შალვა დადიანისა.

# ახალი ამბავი

**ხახახლეში.**

✦ **მეფის ნაცვლის შეწირულება.** მათმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ 2 ათასი მანეთი შესწირა საავარაკო საზოგადოების ორგანოს „სამკურნალო კავკასია“-ს საქმის გასაფართოებლად.

**ქართული დაწესებულებანი.**

✦ **ხევსურთა დეპუტაციის შუამდგომლობა** ქ. საქველმოქ. საზოგადოების გამგეობამ გულდასმით მოისმინა თვის უკანასკნელ კრებაზე და დაადგინა: 1) აღიძრას კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა საგანგებო დეპუტაციის პირით მათ გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. 2) გაეცნოს მათი აუტანელი მდგომარეობა ფართე საზოგადოებას, პრესის საშუალებით, 3) გადიდოს ჯერ-ჯერობით 125 მან. რამდენიმე დამშეულ ხევსურთა ოჯახის პურის მისაწოდებლად.

✦ **კურთხევა ქალთა სემინარიისა.** 25 მარიამობისთვეს დანიშნულია ქალთა სამასწავლო სემინარიის კურთხევა. გამგეობა დიდ სამზადისშია ამ დღისთვის: მოწვეულ არიან ყველა ქართულ საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. შემუშავებულია სადღესასწაულო პროგრამაც. სემინარიის პირველ კლასში მოწაფე ქალთა შემადგენლობა უკვე გამორკვეულია. სულ 40 მოწაფე ქალია ჩარიცხული. სემინარიის დირექტრისად მიწვეულია ქნ. ალექსანდრა ფალავასი.

✦ **ქართულ სახოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ** დაადგინა 15 ამა თვეს: 1) სთხოვოს ინჟ. გ. ზ. ჭუღიანს შეიმუშაოს პროექტი საზოგადოების საგარეჯოს მამულის სარწყავ წყლის გამოყვანის შესახებ; 2) ინსტრუქტორებისაგან მიღებული გეგმები, შემოდგომაზე მუშაობის შესახებ, გადაეცეს განსახილველად საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან: ს. ნ. ყაზახაშვილი, პ. გ. მელია და ვ. ი. რცხილაძე; 3) პროექტი ინსტრუქციისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საკოოპერაციო სექციამ და სექციის ინსტრუქტორმა, განხილულ იქმნას საბჭოს შემდეგ კრებაზე.

შემდეგ კრებამ მოისმინა და მხედველობაში მიიღო ვ. ი. რცხილაძის მოხსენება თავ. დ. ი. მაყაშვილის მიერ შემოწირულ მამულის შესახებ.

# იონა ბერი (ხელაშვილი)

(დასასრული. იხ. „საქ.“ № 205).

იონას აზრით ქართველი ერის ამყვავებელი მხოლოდ ერთი სწავლა განათლებაა!.. თუ რა აზრისა იყო 1832 წ. შეთქმულობაზედ, როგორ ებრალება და შეწუხებული იყო დაპატიმრებულთათვის, ამას იონა ბერი ასე მოსთქვამს: „მეუფეო მეუფეთაო! მეფესა ჩვენსა იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს ძეს მოუვლინე სული შენი სახიერი მინიჭებად პირი ახალი და სიბრძნე, რათამცა მოუტეოს ბრალნი და სიცრუენი გლახაკთა ქართველთა და გამოიყვანოს ძისა შენისა დედისა წილხდომილნი ერნი იგი შემწყუდეულნი საპრობილეთა შინა; ესერა მეათე თთუენი არიან,[1]) რომელნი კნინლა და დადნენ, ერ ვერცო ნაკლულევანისა საზრდელისაგან განძლომელნი და მეორე ვერა ზამთარსა შინა ნეფხვისაგან განყინვით და ზაფხულსა შინა მზისა ხორშავისაგან შემშთვარნი ამათ სასტიკთა ტანჯვათაგან ზარტეხილნი გონება შერევნილ იქმნენ მძაფრათ შესლბობილნი...[2]) ამ შეთქმულობის საბაბზედ მეტეხის ციხეში ჩასხეს: ტარასი ბერი, ფილადელფი, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ავთანდილოვი, მელაანელი მღვდლის შვილი თალიაშვილი, გრიგოლ ორბელიანი (ავლაბრის ყაზარმაში) და სხ.

იონა ბერი იყო დაუღალავი მუშაკი მწერალ-მწიგნობარი, ღვთის მოშიში და დიდათ მორწმუნე, **უყვარდა მოყვასი თვისი, ვითარცა თავი თვისი,** და არარა პატივსა ეძიებდა. ამიტომ ქართველი ბატონიშვილები ფრიად ჰყვარობდნენ და პატივსა მიაპყრობდნენ. წელიწადში ორჯელ-სამჯერ იონა ბერი თავს მოუყრიდა ხოლმე ბატონიშვილებსა და იქ მყოფ ქართველობასა, გაუმასპინძლდებოდა ჯერ ახალი რაიმე ნაწერის წაკითხვითა და მერე სანოვაგითაცა. იონას სუფრაზედ მყოფი ყველა მოვალეობათ სთვლიდა რამდენიმე ახლად შედგენილი რამ იამბიკო წარმოეთქვა სუფრაზედ და მასპინძელი გაეხარებინა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იონასთან თავს იყრიდნენ ხოლმე უფრო დაბადების დღეს. ესრეთი იონას სუფრაზედ წარმოთქმული რამდენიმე იამბიკო ხელთა გვაქვს—თეიმურაზ ბატონიშვილისა 9 ტაეპი 22 სექტემბერს 1817 წ., მირიან ბატონიშვილისა 1 ტ., სოლომონ რაზმაძისა 1 ტ. 1830 წ., იოანე ბატონიშვილისა 4 ტ., სვიმონ ტაბიძისა 2 ტ., იოანე დემეტრაშვილისა 1 ტ., ოც დეკემბერს 1832 წ., იონას ძმისწულის იონა ხელაშვილისა 1 ტ., 1833 წ. 1 ივლისს.

დაუღალავმა შრომამა და დიდ-დიდმა ზედი-ზედ მწუხარებამა იონა ბერი მალე დააბერეს, გატყდა. ჯერ ისევ რუსეთში მისვლის დროს გულს უთუთქავდა საქართველოს სამეფო ოჯახის ასე ანიავება და გათახსირება. რუსეთში მოსულმა მართალია სწავლა-განათლების წყურვილი რაოდენადმე მოიკლა, მაგრამ აქ უცხოეთში—მწირობაში ბედმა არგუნა უდარესი მწუხარებანი ზედი-ზედ: დაიტირა დარია დედოფალი 8 ნოემბერს 1808 წ., დაიტირა და დაასაფლავა მეფის რძალი ქეთევან 4 მარტს 1808 წ., დაიტირა და დაასაფლავა ახალგაზრდა მეფის ძე ჯიბრაილ თებერვლის 29, 1812 წ. დაიტირა და დაასაფლავა მეფის ძე ვახტანგი 27 ოქტომბერს 1814 წ. დაიტირა და დაასაფლავა მეფის ძე იულონი 23 აგვ. 1816 წ. დაიტირა და დაასაფლავა ფარნაოზის ასული, 19 წლის, ელისაბედი 22 დეკ. 1818 წ. დაიტირა დ დაასაფლავა დავით ბატონიშვილი 13 მაისს 1819 წ. დაიტირა და დაასაფლავა გენათელი ეფთვიმე 21—25 აპრილს 1822 წ.[3]) დაიტირა და დაასაფლავა კათოლიკოზი ანტონ II, დეკემბრის 21, 1827 წ. დაიტირა და დაასაფლავა მეფის ძის ბაგრატის მეუღლე ეკატერინე 30 ივნისს 1831 წ. დაიტირა და დაასაფლავა იმერთა დედოფალი ანნა, ორბელიანის ქალი 1836 წ. ამოდენა მწუხარებამა იონა ბერი დაასნეულა, ვერ აიტანა და მალ-მალ ნატრობდა სამშობლოში წამოსვლასა და აქ სიკვდილსა. ამიტომ იმერთა დედოფალმა მარიამ, კაცია დადიანის ასულმა, 1836 წ. მაისის 28 სთხოვა სინოდის ობერ პროკურორს პროტასოვს: ოცდაათი წელიწადია რაც იონა ბერი ქართველ ბატონიშვილებს ემსახურებაო. „დიდმა შრომამა და ტაწლმა დაასნეულა და სურს თავის სამშობლო მიწა-წყალში გაატაროს უკანასკნელი დღენი და სული დალიოსო ან თბილისის ფერისცვალების მონასტერში, ან ნათლისმცემლის უდაბნოში. ამიტომ გთხოვთ თავანდელი 250 მან. პენსია აღუდგინოთ დ გაისტუმროთო. პროტასოვმა 2 ივნისს 1836 წ. მოახსენა სინოდს დედოფლის თხოვნა. სინოდმა ასე აასრულა ეს საქმე: საქართველოს საეკლესიო ხაზინიდგან იონას დაენიშნოს 250 მან. მხოლოდ იმ დროიდგან, როცა ერთ-ერთ აღნიშნულს მონასტერში მივაო“. ამ დადგენილებას ზედვე მიაყოლეს საიდუმლო მიწერ-მოწერა პეტერბურგითგან თბილისში —„რა კაცია იონა, ვინ არის? სანდოა თუ არა?“ ვიდრე ეს კუდბაწარა მიწერ-მოწერა გათავდებოდა, საბრალო იონა ბერი ჩალოგინდა და მძიმე ავად მყოფი შეიქნა. ბედმა დაუძვირა სამშობლოს ნახვა და იქ სულის დალევა. იქვე პეტერბურგში მიიცვალა 4 დეკემბერს 1837 წ. ამაზედ სინოდმა მალე აცნობა საქართველოს ეგზარხოსს ევგენს 31 ოკტომბ. 1838 წ. № 8772, ამან კიდევ კანტორას 15 დეკემბერს და საქმე არხივში შეინახეს.[4])

იონას ნაშრომნი არიან:

1) ღვთის მეტყველება სამ ნაწილედ. 2) ქადაგებანი კვირიაკეთა და დღესასწაულთა. 3) კატეხიზმო დიდი. 4) კატეხიზმო ვრცელი. 5) კატეხიზმო შემოკლებული. 6) ფსალმუნთა განმარტება. 7) მოსეს V წიგნის განმარტება. 8) ისო ნავეს და მეფეთა წიგნის განმარტება. 9) იობის წიგნის განმარტება. 10) იგავის განმარტება სამ წიგნათ. 11) ისო ზირაქის წიგნის განმარტება. 12) თექვსმეტ წინასწარმეტყველთა წიგნების განმარტება. 13) ასოთა და გვამის განმარტების წიგნი. 14) ალფავიტა, ანბანზედ ასხმული წიგნი. 15) ათი მცნების და ცხრა ნეტარების წიგნი. 16) მეფის ძის იოანეს 34 შეკითხვის წიგნი. 17) ღუთისმყვარულის წიგნი. 18) ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენის წიგნი. 19) ორ ენა კაცის წიგნი აღკრძალვისა. 20) იონა მოხუცებულის წიგნი. 21) წიგნი წყლულებისა, ე. ი. ხორველისა. 22) წიგნი ამაოებისა. 23) წიგნი ქორწინებისა. 24) წიგნი ნაშთთა განმარტებისა. 25) წიგნი უხრწნელისა საზრდელისა. 26) წიგნი იფქლღვარძლის განმარტებისა, რომელ არს იფქლი ცხონებული კაცნი, ხოლო წიგნი ღვარძლი წარწყმედილი კაცნი. 27) კაცის ცნობისა. 28) არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა მამულსა. 29) ლექსიკონი შავათ დაწერილი. 30) ხელმძღვანებელი სიბრძნისადმი. 31) ქრისტეს მოყვარის განმამხნეველი წიგნი. 32) ქრისტეს მიერ მოწოდება ცოდვილთა. 33) მეშხოლოეთა წიგნი, რომელ არს ბერობის დარიგება. 34) უცინიდისოს მხილების წიგნი. 35) ანდერძიერი წიგნი. 36) აღსარება განკითხვის წიგნი. 37) ილიაწინასწარმეტყველის წიგნი. 38) წიგნი მასწავლელისაგან მოსწავლისადმი. 39) ლიკანელია ნერსესისადმი სიტყვისგება, სარწმუნოებისა ჩვენისა სარჩლევა. 40) წიგნი ლექსიკონი შავათ დაწერილი. 41) წიგნი წირვის განმარტებისა. 42) წიგნი მაკაბელთა. 43) წიგნი ცხოვრებისა. 44) მელქისედეკის წიგნი. 45) მოძღვრისაგან სულიერ მოწაფის სარჩლვა. 46) წიგნი ოფლის ცხოვრებისა. 47) „რონინი“, ავტობიოგრაფია.[5])

**მღ. პ. კარბელაშვილი.**

[1]) იქვე გვ. 103—104.

[2]) შეთქმულნი დაიჭირეს დეკემბერში 1832 წ. ამიტომ ვფიქრობთ რომ იონა სწერს ამ გოდებასა 1833 წლის სექტემბერში.

[3]) მოხუცებული გენათელი ეფთვიმე (რაჭის ერისთავის როსტომის ძე) შეიპყრეს 5 მარტს 1821 წ. და ყარაულ ქვეშ გაისტუმრეს რუსეთში და ნოვგოროდის ეპარქიის ალექსანდრე სვირელის მონასტერში დააბინავეს, სადაც მიიცვალა 21 აპრილს 1822 წ. იონა მოძღვარი იყო ეფთვიმესი და მალ-მალ ინახულებდა ხოლმე. ეფთვიმეს სახელი და საფლავი დღესაც სალოცავია რუსებისათვის, როგორც წმინდა საკვირველთმოქმედისა. იხ. საქ. კანტორისა № 1322.

[4]) იხ. საქ. კანტორისა 1837 წ. №4276.

[5]) 1833 წ. პეტერბურგში მიიყვანეს ოთხი ბიჭი—3 თათარი, 1 სომეხი. მიტროპოლიტმა ამბროსიმ და ობერპროკურორმა გოლიცინმა იონას ჩააბარეს სასწავლოდ. ამან მოამზადა და დანათლეს. იხილე იქვე 62—63 გვ.

მოხსენებაში დაწვრილებით არის აღნუსხული რაოდენობა მამულისა, მისი ღირებულება, მნიშვნელობა იმისა საზოგადოებისათვის და სხვ.

✦ **ხიდნადის განყოფილებას** ქ. საქველმოქმ. საზ. გამგეობამ დაადგინა 300 მანეთით აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება.

✦ **სოხუმის თავშესაფარი.** ქ. საქველმოქმ. საზ. გამგეობამ მსჯელობა იქონია სოხუმის თავშესაფარის შესახებ და დაადგინა: ეთხოვოს აწ არსებულ სოხუმის თავშესაფარის გამგეთ, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ, მსჯელობა იქონია გააფართოვოს ეს თავშესაფარი 10 საწოლით კიდევ, ასე რომ სულ 20 საწოლიანი თავშესაფარი იქონიოს და თავის მხრივ საქველ. საზ. გამგეობა დახმარებას აღუთქვამს.

✦ **ბათომის თავშესაფარი.** ქ. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა გაეგზავნოს ბათომის თავშესაფარის ბავშვებს თბილი ტანსაცმელი.

## მთავრობის დაწესებულებანი.

✦ **თ-დი გ. ი. ორბელიანის წინადადება.** 15 ენკენისთვეს თბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება. კრებას დაესწრნენ ვიცე გუბერნატორი, გუბერნიის ექიმი ტ. ს. ქიქოძე. წარმომადგენელნი ქალაქის და მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებათა. კრებამ განიხილა წინადადება სასანიტარო და საევაკუაციო უმაღლეს უფროსის მთავარ რწმუნებულის გენერალ-ლ. თ-დ გ. ი. ორბელიანისა მტკვრის მარჯვენა პირის მუხრანის ხიდ ზეით გაუქმების შესახებ. კრებამ დაადგინა მტკვრის მარჯვენა ნაპირი ვორონცოვის პატარა ხიდ ქვეშ გასუფთავებულ იქმნეს და დახშულ მდინარისაგან.

✦ **ღვინით ვაჭრობის წეს-რიგი.** ვისაც ღვინით ვაჭრობა უნდოდა, ღლემდის ამ ვაჭრობის ნებართვის მიღების წესრიგი ასეთი იყო: ის პირველად თხოვნით მიმართავდა მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს და დაუსახელებდა ბინას, საცა უნდა ევაჭრნა. კომიტეტი თავის აგენტს მიანდობდა ნაჩვენებ ბინის დათვალიერებას და თუ ბინა შესაფერისი აღმოჩნდებოდა ვაჭრობისათვის, თხოვნელს მოწმობას აძლევდა, რომ კომიტეტის მხრივ დაბრკოლება არ არის ამ კაცს ღვინის ჩამოსხმის ნება მიეცეს. ამ მოწმობით მთხოვნელი მიდიოდა გუბერნატორთან, რომლისთვისაც აგრეთვე უნდა წარედგინა პოლიციის ბოქაულის ანუ მამასახლისის დამოწმული მოწმობა, რომ მას (მთხოვნელს) ამდენი და ამდენი დღიური ვენახი აქვს, ამ მოწმობათა მიხედვით გუბერნატორი აძლევდა მთხოვნელს ღვინით ვაჭრობის ნებართვას—ამ შემოდგომიდან წესი შეცვლილია ამ რიგად: უკანასკნელი მოწმობაც შესახებ ვენახისა, რომ მთხოვნელს აქვს ვენახი, უნდა აიღოს ამ უკანასკნელმა მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტისაგან; პოლიციის მოწმობა აღარ გამოდგება.

## ქალაქის დაწესებულებანი.

✦ **დაჭრილ ჯარის კაცებზე** მზრუნველი კომიტეტი 200 ათას მანეთს სთხოვს ქალაქთა კავშირს ლაზარეთებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის შესაძენად ბაქოს და დონის როსტოვში. იგივე კომიტეტი კიდევ 500 ათას მანეთს სთხოვს კავშირს ლაზარეთებისათვის საცვლების შესაძენად ბაქოვსა და სხვა სამრეწველო ქალაქებში.

✦ **ქალაქთა კავშირს,** გენერალ მამშევის განკარგულებით, დაუყონებლივ უნდა მიეცეს 59.985 მანეთი სასურსათო პუნქტების გასამართავად ტრაპიზონის რაიონში.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება** დანიშნულია მომავალ ორშაბათს, 19 ამა თვეს. საბჭოს სხვათა შორის წარედგინება განსახილველად: 1) გამგეობის მოხსენება სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ თბილიში; 2) მოხსენება გამგეობისავე შესახებ ფალმდებ სნეულებათა თბილისში; 3) მოხსენება გამგეობისა და საბიუჯეტო-საფინანსო და სატრამვაიო კომისიებისა შესახებ ტრამვაის ტარიფის გადიდებისა და სხ. ამავე კრებისთვის დანიშნულია ქალაქის მოადგილის არჩევა.

✦ **სიძვირე ბაქოში.** ქალაქის მოურავის ბინისაგან ქალაქის მოურავმა ლ. ი. ხატისოვმა დეპეშა მიიღო, რომ ბაქოში სანოვაგის კრიზისი დღითი დღე იზრდება და საქმის გამოსარკვევად თბილისს მოემგზავრება.

✦ **ტრამვაის გამოსყიდვის საქმე.** თბილისში ჩამოვიდნენ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელნი ბ. ბ. ლობი და ბიერი, რომელთაც დავალებული აქვთ ქალაქის ტრამვაის გამოსყიდვის საქმე, რომელიც სასამართლოშია აღძრული, შინაური მოლაპარაკებით გაათაონ.

✦ **ხოლერა.** 16 ამა თვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 114 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი. 15 ამა თვეს ლაზარეთში გარდაიცვალა ხოლერიანი 5 და გაეწერა 6 კაცი. ხოლერის ნიშნებიანთაგან გადარიცხულ იქმნა ხოლერიანებში ერთი და გაეწერა ლაზარეთიდან 1 კაცი.

✦ **რაბათის სკოლა.** ქ. საქველმოქმედო საზ. მოისმინა რა ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების განცხადება რაბათის სკოლასთან ჭრაკერვის განყოფილების დასაარსებლად დახმარების აღმოჩენის შესახებ, დაადგინა: გაეგზავნოს საქველმოქ. საზ. გამგეობას 400 მ.ნ. ამ განყოფილების დასაარსებლად.

## კლუბებში.

✦ **ახალ კლუბში.** მთელი მუშაობა საზამთრო ბინაში 26 ენკენისთვეს თავდება და ამ დღეს არის გადაწყვეტილი კლუბის ზამთრის შენობაში გადასვლა. საზამთრო ბინაში სადღესასწაულო დილის კონცერტებია განზრახული მოწაფეთათვის. საკონცერტო ნაწილი მიენდო ბ-ნ ვოლფ-იზრაელს.

✦ **ხარფუხის კლუბი.** შაბათს, 17 ენკენისთვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

## სხვა და სხვა ამბები.

✦ **იაპონელები თბილისში.** 13 ამა თვეს თბილისში ჩამოვიდნენ იაპონელები ბარონი ოგიმაჩი და ჯურაკუ მიაკოსი. პირველი მათგანი წარმომადგენელია იაპონიის სამთა-მადნო საქმეთა საზოგადოებისა და აზრად აქვს ამ საქმის ვითარება გამოარკვიოს ამიერ კავკასიაში. უპირველესად ყოვლისა მასა სურს დაახლოვებით გაეცნას ალავერდისა და ალაგირის ქარხნებს, რისთვისაც მან სარეკომენდაციო წერილები სთხოვა თბილისის საბირჟო კომიტეტს. მეორე ჯურაკუ მიაკოსი, ქალ. ოსაკის საგალანტერიო ფირმის „სიმა და ამხ." წარმომადგენელია და აზრად აქვს დაწვრილებით შეისწავლოს თუ ამ დარგის საქონელი რამდენი და რა თვისებისა იხარჯება ამ ქვეყანაში.

✦ **გამოფენა.** შინაურ ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება ღვინობისთვის პირველ რიცხვებში ფრინველების გამოფენას გამართავს მუშტაიდში.

✦ **უპურობისაგან** გამოწვეული კრიზისი თბილისში ჯერ ისევ იმავე მდგომარეობაშია. პური ჩვეულებრივ ცოტა ცხვება და უვარგისი.

✦ **დაკრძალვა.** გუშინ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა და ანდერძი აუგეს თბილისის ძველ ოჯახის წარმომადგენელს გენ. მ. ვას. ალ. სარაჯიშვილს. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე მოხდა. განსვენებულს როგორც გავიგეთ რაოდენიმე ნაწილი თავისი ქონებისა საქველ მოქ. საქმეებისთვის დაუტოვებია.

## ქ. დონის როსტოვი.

აქ ჯერ კიდევ გამოურკვეველია თითქმის 30 სტუდენტის ბედი, მიიღებენ თუ არა ჯერ არავინ იცის. აქ არსდება ქართული საზოგადოება ადგილობრივ ძალთა მეოხებით, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ზნეობრივი თვალყურის გდება და კულტურული განათლება აქაური ქართველებისა, ამის შესახებ უკვე ნებადართულია მთავრობისაგან და ამ დღეებში იქნება მოწვეული კრება დამფუძნებელი, რა ნაყოფს გამოიღებს ყოველივე ცდა, თავის დროზე გაცნობებთ.

აქ ბევრი ლაზარეთები დავიარე, სადაც მოთავსებული არიან ქართველი დაჭრილები, დაავადმყოფებული ჯარის კაცები და სამხედრო პირნი.

## სოფ. ქვიშეთი

ქსნის ხეობაზედ მთის სოფლებში ძალიან გამრავლებულა მგელი და დათვი. აშკარად დღისითაც ეტანება შინაურ საქონელს. მცხოვრებთ ძალიან ეშინიანთ საზამთროდ, არ არის იარაღი, რომ ნადირი მოიგერიონ.

— ქემბარიანთ სოფელში, სადაც ოცდა თექვსმეტი კომლია, ერთი კვირის განმავლობაში რაღაც ავადმყოფობით ოთხი ვაჟ-კაცი გარდაიცვალა. სასურველია მიექცეს ვისიც ჯერ არს ყურადღება.

— ქვიშეთში ღამით აყენებენ გზათ მომავალ საქონელს ჯარის საჭიროებისათვის. თითქმის ყოველ ღამე საქონელი ეხოცებათ, ატყავებენ და ისე ჰყრიან, რის გამოც ჰაერი მეტის მეტად მოწამლულია. პოლიცია არ აქცევს ყურადღებას.

## დ. ძირულა (ზემო იმერეთი.)

აქაურ ქარხანაში მომუშავენი 1 და 2 რე ხარისხის მოლაშქრენი სამხედრო ბეგრისაგან გაანთავისუფლეს რიცხვით 300 დე კაცი.

— მახლობელ სოფლებში წელს ღვინის მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

— მდინარე ჩხერიმელაზე დასრულებულ იქმნა მშვენიერი ხიდი ქვის კედლებზე აგებული და ამ დღეებში უპირობენ კურთხევას.

— აქაურ სამკითხველოში გაზეთები ხშირად იკარგება.

# ერობა ჩვენში

### კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებაში.

(14 ენკენისთვის კრება).

ენკენისთვის 14-ს გამართული კრება კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებისა მრავალ მხრივ იყო საყურადღებო. ჯერ ერთი მან ცხადად დაგვანახვა, რომ ერობის იდეია ჩვენში მთლად მომწიფდა, ფართო მასას გადაეცა, ღრმად შეგნებულია საზოგადოების მიერ. მართლაც და ასეთი ფართო და მრავალრიცხოვანი კრება ერობის გამო ჯერ არსად გამართულა: სახალხო სახლის დარბაზი, საცა კრება გაიმართა, მთლად გაჭედილი იყო საზოგადოებით და კიდევ მრავალი საზოგადოება დარჩა დარბაზის გარედ ბილეთების უქონელობისა გამო. გარდა ამისა კრება იმითიც იყო საინტერესო, რომ აქ პირველად შეჰხვდენ პირისპირ ერთმანეთს ქართულ საზოგადო აზრის წარმომადგენელნი და რუსეთის ეგრედ წოდებულ „ლიბერალთა" ტიპიური ნიმუში, სახელმწიფო სათათბიროს გავლენიანი წევრი ბ-ნი ვლ. ალ. რჟევსკი, რომელმაც ვრცელ მოხსენებაში ნათლად გამოარკვია თავისი და თავის თანამოაზრეთა შეხედულობა კავკასიის მომავალ ერობაზე. უკანასკნელ, ხსენებული კრება ჩვენთვის, ქართველებისთვის იმითი იყო საინტერესო, რომ ქართველ ორატორებს წინასწარი მომზადება, ერთმანეთში შრომის განაწილება, საერთოდ ორგანიზაციის პრინციპის დამორჩილებას ვამჩნევდით, რაც ვიმეორებთ, განსაკუთრებით სასიხარულო და სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ძლივს მოვახერხეთ ორგანიზაციის საჭიროების შეგნება და ამ შეგნებამ 14 ენკენისთვის კრებაზე დიდი ნაყოფიც გამოიღო.

—

საღამოს 8 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლის დარბაზი და ქანდარა მთლად გაჭედილი იყო მრავალფეროვანის საზოგადოებით. აქ იყვნენ ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელნი, ქარ.თ.-აზნაურობის და სომხის ბურჟუაზიის მესვეურნი, ინტელიგენცია, მოსწავლენი, რუსები, ქართველები, თათრები, სომხები. ერთი სიტყვით, ყველა ეროვნების, წოდების და მდგომარეობის ხალხი.

$8^1/_2$ საათზე კრება გახსნა კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა **ა. ფირალოვმა,** რომელმაც სიტყვა მისცა სახელმწიფო სათათბიროს წევრს **ვ. ა. რჟევსკის.**

**ბ-ნმა რჟევსკიმ** თავისი მოხსენება იმით დაიწყო, რომ გვაუწყა: სახელმწიფო სათათბირომ დეპუტატთა ერთის ჯგუფის ინიციატივით კავკასიაში ერობის შემოღების საჭიროება აღიარა. რადგან კავკასიას სათათბიროს წევრთაგან თითქმის არავინ იცნობს, მე (მომხსენებელს) დამავალეს აქ თქვენში, წამოვსულიყავ და ადგილობრივი პირობები გამეცნო, რათა შემდეგ აქ შეძენილ ცნობებით მესარგებლნაო. თვენახევარზე მეტია კავკასიაში ვიმყოფები—განაგრძო ბ. რჟევსკიმ—ბევრი რამა ვნახე, ზოგს დასკვნასაც დავადექ. შეიძლება ბევრ რაშიმე ვცდებოდე და აი სწორედ ამ ჩემ დასკვნათა გაზიარება მსურს ადგილობრივ მცოდნეთათვის. განიხილეთ ჩემი დასკვნები, კრიტიკის თვალით შეხედეთ, რომ მეც თქვენის კრიტიკით ვიხელმძღვანელო, როცა სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის ერობის პროექტს დავიცავო.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ ბ-ნმა რჟევსკიმ მოგვითხრო მოკლე ისტორია რუსეთში მომქმედ საერობო კანონმდებლობის ევოლიუციისა. არსებული საერობო კანონი (1890 წლის დებულება) დაძველდა, მისი კმაყოფილი აღარავინ არის. ყველა პარტიების წარმომადგენლებმა დაჰგმეს დახავსებული კანონი. ამიტომ სახელმწიფო სათათბიროში დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უკვე შეიმუშავა ახალი საერობო კანონი და სათათბიროსაც წარუდგინა. უკანასკნელი უსათუოდ მომავალ სესიაშივე იქნება განხილული და, ეტყობა, მიღებულიც იქნება სათათბიროს მიერ, რადგან თვით კომისია ძალიან მრავალრიცხოვანია, მასში ყველა გავლენიან დეპუტატებს აქვთ თავი მოყრილი.

საერობო კანონ-პროექტი გაცილებით უფრო ფართო ხასიათისაა, ვიდრე არსებული (1890 წლის) დებულება. იგი მეტს უფლებას ანიჭებს ადგილობრივ თვითმართველობას, ბევრის ისეთის რისამე ნებას აძლევს, რის ნება არსებულ ერობას არა აქვს. კანონ-პროექტი სავსებით და საბოლოოდ აღიარებს ერობას **სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოდ.** გაფართოვებულია აგრედვე საარჩევნო უფლებაც. საერობო კრებებში გადამწყვეტ ხმის უფლება აქვთ მხოლოდ არჩეულ პირებს, თანამდებობის პირთ-კი მხოლოდ სათათბირო ხმა ენიჭებათ; თვით კრებების რიცხვი გამრავლებულია და სრულიად უკუგდებულია გარჩევა ჩვეულებრივ და საგანგებო კრებებისა. საერობო კრებაზე თავმჯდომარეობს არა თავად-აზნაურთა წინამძღოლი (როგორც აქამდე იყო), არამედ თვით კრების მიერვე არჩეული თავმჯდომარე; საერობო მმართველობის წევრებად შეიძლება ისეთი პირების არჩევაც, ვისაც „ცენზი" არ აბადია და, მაშასადამე, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებაც არა აქვს. შემდეგ შეზღუდულია გუბერნატორის უფლება საერობო დაწესებულებათა თვალყურის დევნაში და გამოცვლილია ის დაწესებულება, რომელმაც უნდა გაარჩიოს გუბერნატორის „პროტესტები" საერობო დაწესებულებათა ამა თუ იმ დადგენილების გამო. ნაცვლად ახლანდელ საგუბერნიო საკრებულოებისა არსდება ეგრედწოდებული „განსაკუთრებული საკრებულო საოლქო სასამართლოსი", რომელიც განიხილავს საერობო დაწესებულებათა მოქმედებას მარტოოდენ კანონიერობის (და არა საჭიროების) მხრივ. თვით წესი განსაჩივრებისა შეცვლილია საერობო დაწესებულებათა საკეთილოდ. არჩეულ თანამდებობის პირთა მთავრობის მიერ დამტკიცებული უარყოფილია.

უკანასკნელ, კანონ-პროექტში არსებითად შეცვლილა თვით საარჩევნო უფლებაც. განზრახულია ოთხი უწოდებრივო საარჩევნო ჯგუფის („კურიის") დარსება, ცენზიც შემცირებულია, ამომრჩეველთა წრე გაფართოვებულია მანეთიან სახელმწიფო გადასახადის ზომამდე. ცალკე „კურიად" გამოყოფილნი არიან ქალაქში მცხოვრები მესაკუთრენი. ცალკე ჯგუფების განაწილება ისეთია, რომ საერობო ხმოსანთა საერთო რიცხვის ნახევარი ენიჭება სრულ ცენზიანთა ჯგუფს, ხოლო მოქალაქეთ—არა უმეტეს საერთო რიცხვის მეექვსედისა.

ამის შემდეგ ბ. რჟევსკი გადავიდა თავის მოხსენების მეორე ნახევარზე, რომელიც შეეხებოდა კავკასიას, ჩვენში განზრახულს ერობას.

— როდესაც კავკასიისაკენ მოვდიოდი—დაიწყო ბ-ნმა რჟევსკიმ—სამი კითხვა მებადებოდა. **პირველი კითხვა** შეიძლება თუ არა კავკასიაში ერობის შემოღება? ჩვენში ჯერ კიდევ ისეთის წარმოდგენისანი ვართ კავკასიაზე, რომ აქ მუდმივი ეროვნული შუღლი და მტრობაა, რომ ერი ერის გაჟლეტასა ლამობს, რომ ამიტომ აქ შეუძლებელია ერობაზე ლაპარაკი, ადგილობრივი მკვიდრნი ვერ მოახერხებენ მშვიდობიან საერობო საქმიანობას.

ცხოვრების პირობების ადგილობრივმა შესწავლამ დამანახვა, რომ ეს აზრი შემცდარია, რომ ერობის შემოღება დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაშია საჭირო, რომ ჩვენი (რუსეთის საზოგადოების) დიდი დანაშაულია, რომ დღესვე ერობა არ შემოგვიღია კავკასიაში.

**მეორე კითხვა:** საკმარისია თუ არა ადგილობრივი ნივთიერი სალარი ერობის შემოსაღებად—ამ მხრივაც დავრწმუნდი, რომ ერობის შემოღებას კავკასიაში წინ არავითარი დაბრკოლება არ ელობება.

**მესამე კითხვა,** ყველაზე უფრო მწვავე: რა ნიადაგზე უნდა იყოს აშენებული საერობო წარმომადგენლობა, რა წესით უნდა სწარმოებდეს საერობო ხმოსანთა არჩევანი? ბ. რჟევსკის აზრით ეს კითხვა უნდა გადასწყდეს ისე, როგორც ამას ზემოდ განხილული პროექტი (მთელი რუსეთისათვის შედგენილი) სწყვეტს. სახელდობრ: არჩევანი უნდა უწოდებრივო იყოს. ხოლო რაც შეეხება თვით „ცენზს", მისს ფორმას, რა თქმა უნდა თეორეტიულად სრულიად მისი უარის ყოფა სჯობდა,—და მეც იმ აზრისა ვარო,—დასძინა მომხსენებელი,—რომ არჩევნების საუკეთესო ფორმა—**საყოველთაო საარჩევნო უფლებაა.** მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ასეთს რასმე სახელმწიფო სათათბირო დასტურს ვერ დასცემს და ამიტომ, თუ კი დიად მიზნის პრაქტიკულად განხორციელება გვსურს, უნდა ისეთი ცენზი გამოვნახოთ, რომელიც უფრო ადვილად განსახორციელებელია დღევანდელს პირობებში.

რუსეთში არსებულ საერობო დებულების ძალით შემოღებულია მიწათმფლობელობის ცენზი. რაც შეეხება კავკასიას, აქ მომხსენებელის აზრით, ყოვლად შეუძლებელია მიწათმფლობელობის ცენზზე ლაპარაკი: მიწათმფლობელობა და მისგან გამომდინარე ურთიერთობა ისე გამოურკვეველი და დაუდეგარია კავკასიაში, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა ვერ დაგიმტკიცებთ თავის უფლებას მიწაზე. გარდა ამისა, უმრავლესობას მიწა სულ არა აქვს, მხოლოდ სხვისა მამულით სარგებლობს სხვა და სხვა უფლების ძალით.

ყველა ამ მოსაზრებით საუკეთესო ფორმა ცენზისა კავკასიისათვის არის გადასახადის ცენზი (налоговый цензъ) რომელიც საარჩევნო უფლებას ანიჭებს უძრავ ქონების პატრონს, ვინც რამე საერობო გადასახადსა ჰხდილობს. რაოდენობა ცენზისა უნდა განისაზღვროს მომხსენებელის აზრით, წლიურად გაღებულ ერთის მანეთით, რაც უდრის ქონების 200 მანეთად ღირებულობას.

ამასვე გვიკარნახებს ბ. რჟევსკის სიტყვით, ის გარემოება, რომ ქართულ გუბერნიებში ძალიან ფეხი მოიკიდა კოოპერატიულმა მოძრაობამ. სასურველია, რომ ერობა იმავ ელემენტებისაგან შესდგებოდეს, რა ელემენტებისაგანაც კოოპერატიული დაწესებულებანი შესდგებიან, თორემ მაგალითად, რუსეთში, საცა ერობა მსხვილ მემამულეთა ხელშია, მტრული განწყობილება ჰსუფევს ერობასა და კოოპერატივების შორის.

ვ. ჟ.

(დასასრული იქნება)

# მებრძოლი სახელმწიფონი

### გერმანეთი.

IV

იმ დროს, როდესაც გერმანეთის ნორჩი სახელმწიფო ფოლადის ჯავშანს ირტყამდა გარშემო, სისხლით დაცლილი საფრანგეთი ძლივ-ღა სუნთქავდა და ნუგეშით ნეიტრალ ქვეყნებს შეჰყურებდა. „სისხლის გამოშვება", როგორც ეს მკაცრად დაახასიათა ბისმარკმა 1870—71 წლის ომი, ნამდვილი სისხლის გამოშვება იყო საფრანგეთისთვის. იმ დროს, როდესაც გერმანეთმა დაჰკარგა 28,600 მოკლული კაცი, 12 ათასი ავადმყოფობით დაღუპული, 4 ათასამდე უკვალოდ დაკარგული და 101 ათასი ტყვე, საფრანგეთმა ბრძოლის ველზე დასტოვა 150 ათასი კაცი, 150 ათასი დაჭრილი და 600 ათასი ტყვე. ამას დაუმატეთ გამანადგურებელ მტრის არმიის საფრანგეთის გულში შეჭრა, გზად ყოველისფერის განადგურება, შემდეგ თვით გულის—პარიზის დაკვლა და ბოლოს სამგლოვიარო კოშკის ამართვა—5 მილიარდის წამოღება და თქვენთვის ნათელი შეიქმნება, თუ ბისმარკის დახასიათებას რამდენად ჰქონია ნიადაგი. განა რომ გერმანეთს ჰქონდა უფლება სიმთვრალით გაბრუებულიყო!

მისი ასეთი აღმაღლება და გაღაღება თვალში არც ერთს დიდს სახელმწიფოს არ ესიამოვნა. პირიქით, უმალვე მოინდომეს, რომ გამარჯვებულის თავის დაფნის ფურცლები მოეტაცნათ. რომ ინგლისი და ავსტრია არ ვიანგარიშოთ, საკმარისია გავიხსენოთ რუსეთი, რომელიც პრუსიასთან ათასნაირად იყო დანათესავებული, მაგრამ მით მაინც წინ აღუდგა გამარჯვებულს და ელზას-ლოტარინგიის ანექსიის გამო ერთგვარი პროტესტი განუცხადა—იმ დროინდელ გარეშე საქმეთა მინისტრის თავად გორჩაკოვის პირით: „ელზასი ისევ საფრანგეთს უნდა დაუბრუნდეს, თორემ იგი საქიშპო ვაშლი გახდება და ევროპის მშვიდობიანობის დარღვევას ყოველ დღე უნდა მოველოდეთო". წინასწარ-მეტყველური იყო ეს სიტყვები გორჩაკოვისა, დამახასიათებელი, მაგრამ იმავე დროს იმ საიდუმლო განზრახვის გამომჟღავნებელი, რასაც არა თუ რუსეთი, არამედ მთელი ევროპის სახელმწიფონი ატარებდნენ გულში. მართალია, გორჩაკოვის სიტყვებზე ბევრი არ უფიქრია გერმანეთს, ან რა საფიქრებელი ჰქონდა, როდესაც ძალის მახვილის წვერით ყოველს საფიქრელს თვითონვე სწყვეტდა, მაგრამ, ვიმეორებთ, ასეთი მოპყრობა მისდამი ნათლად გულისხმობდა თუ რაგვარ განწყობილების საძირკველი იყრებოდა ევროპის სახელმწიფოთა და გამარჯვებულთა შორის, რომლის ერთ-ერთმა შვილთაგანმა, სახელდობრ, მგოსანმა ემმანუილ ჰაიბელმა ამოსაშენებელ კედლებზე წასაწერად თამამი ლაქსით დაიმღერა:

„ფიცხელ ბრძოლის დროს ჩვენთან ერთადა
იბრძოდა მხოლოდ მაღალი ღმერთი,
დღესაც მარტოდ ვართ, ხავს თვითვე ვჭედავთ,
ხავი იქნება თვით გერმანეთი!

და ჰაიბელის ეს სიმღერა სიმღერა იყო ყველა გერმანელის, როგორც თავად გორჩაკოვის ერთგვარი ულტიმატუმი ევროპის სახელმწიფოთა ვარული ზრახვის ულტიმატუმი. აი ცოცხალი ფაქტები იმ ლეგენდის დასარღვევად, რომელიც შეიქმნა ამ ომის შემდეგ, ვითომც მხოლოდ და მხოლოდ გერმანეთი ილესებოდა ხმალ-კაპარჭით და სხვები კი მყუდრო ცხოვრებას ატარებდნენო. არა, 1870—71 წელში გასროლილი ყუმბარა მხოლოდ სამანევრო ყუმბარა იყო, რომლის დროსაც ყველამ გაიცნეს ერთმანერთი და დაიყვნენ კიდეც მომავალი რევანშისათვის. დიახაც, რომ არვის არაფრად მოსწონდა მილტიადის დაფნა, ეს იმ მილტიადისა, რომლის შეუმუსვრელს ძლიერებას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ომითა და მისი ნადავლით.

გერმანელთა გაძლიერებას ყოველისფერი უწყობდა ხელს და უმთავრესად კი ბრძენი ხელმძღვანელნი. საოცარია! თითქოს გენიოს სარდლებს საგანგებოდ გენიოსი პოლიტიკოსებიც მოჰყვნენ! ისტორიამ იშვიათად უწყის ასეთი მაგალითები! თვით რომსა და ათინას გაუსწრეს კლასიკურ შეწყობილებით. თუ მოლტკე ხმლის წვერით აკანონებდა გერმანეთის ძლიერებას და პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის გზას უკაფავდა თავის სამშობლოს, სამაგიეროდ ბისმარკი არა ნაკლები მხედარი იყო, ჯავშანში ჩამჯდარი და ფოლადის ჩაფხუტით დაფარული. თუმცა მისი ბრძოლის ველი სამწერლო კაბინეტს არ გაშორებია, რომლის მყუდროებას მხოლოდ მისი კალმის წვერის წრიპინი თუ არღვევდა. სამაგალითო იყო თვით უავგუსტოესი მმართველიც. ვილჰელმ პირველმა სულ რაღაც რვა წელიწადი იმეფა, მაგრამ ამ სულით და სხეულით მხოლოდ ჯარის კაცად დაბადებულმა ადამიანა იმდენი რამ სამაგალითოს გაკეთება მოასწრო, რომ მისი ღვაწლი ისტორიისთვის დაუვიწყარი იქნება გერმანეთის აღორძინების დასახასიათებლად. მისი სიცოცხლე შეგვიძლიან მოვფარგლოთ მისივე სიტყვებით, რომელიც მან სარეცელზე წარმოსთქვა სიკვდილის წინ: „სადა მცალიან დაღლისათვის!" და ამ საუცხოვო იდეალს, დაღლისათვის მოუცლელობას, დღევანდ იხდის ნორჩი გერმანეთი.

თუ ასეთი იყო გერმანეთი მოხუცი იმპერატორის ხელში, არა ნაკლები ღვაწლი დასდო მისმა მემკვიდრემ, ფრიდრიხ მესამემ. მართალია, მეტად ხან მოკლე იყო მისი მეფობა, სულ რაღაც 99 დღის განმავლობაში, მაგრამ ამ ხანშიაც მოასწრო თავის გავლენა მოეხდინა. იგი ბუნებრივად დიდად ნიჭიერი კაცი იყო. ამასთანავე ფრიად კარგი აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული ინგლისში, უყვარდა მეცნიერება, ხელოვნება და საპოლიტიკო მმართველობაში ბისმარკს არ იშორებდა გვერდიდან, ეს იმ ბისმარკს, რომელსაც კრონპრინცობის დროს მუდამ კრიჭაში უდგა და ვერ მიჰხვედროდა ბრძენ პოლიტიკოსის გენიოსობის ალს.

მაგრამ არც ერთს წინამორბედს იმდენი ღვაწლი არ დაუდვია ნორჩი იმპერიისთვის, როგორც ფრიდრიხის მემკვიდრეს, ვილჰელმ მეორეს. ჭკვირცხლი, სახელმწიფო საქმეებისთვის კარგათ გაწვრთნილი მამის მიერ, 29 წლის ვილჰელმი უკვე ცნობილი იყო თავის დამოუკიდებლობით. ისე მოსჩანდა, თითქოს პაპამ და მამამ მხოლოდ ნიადაგი მოუმზადეს მის მეფობას. ნორჩმა სახელმწიფომ მალე იპოვა თავისავით აღფრთოვანებული და ამაყი მმართველი—ვილჰელმ მეორე, მრავალ ისტორიკოსთა დახასიათებით, ნამდვილი პორტრეტია დაჭაბუკებულ გერმანეთის. და მართლაც, თუ მისი დაბადება და ბავშვობის ხანა საფრანგეთის სრულს განადგურების დროს მოხდა, სამაგიეროდ მისი სიყრმე და სიჭაბუკე გაიფურჩქნა ნორჩ სახელმწიფოს ეკონომიურს კეთილდღეობის დამყარებისას. მისი სიყრმის ნების ყოფა გამოიწრთო იარაღის ხმაურობით და დიდების სხივთა ალმურში. დაუმატეთ ისიც, რომ იგი ფართოდ ჰსარგებლობდა ბი-

სმარკის ცოდნით, ეს იმ ბისმარკის ცოდნითა და მეთოდებით, რომელმაც ლუიჯ ყვავილიანი რომანტიკოსი გერმანეთი ფოლადის გერმანეთი გამოსჭედა, ვინც პირველი ლოზუნგი მისცა „სისხლისა და მჭრელი მახვილის", ვინც დევიზად წამოაყენა, რომ „ძალა იგივე უფლებაა", ეს ის უფლება, რაიც თანამედროვე მეცნიერებისა და ფილოსოფიის საფუძვლად იდება დღეს, ვიმეორებთ, ვილჰელმი სარგებლობდა სწორედ იმ ბისმარკის ხელით, ვინც საქმით აჩვენა ქვეყნიერებას, რომ „გერმანეთი უპირატესია ერთა შორის და რომ „მას არავისი არ ეშინიან გარდა ერთი ღმერთისა",—აი ასეთ მასწავლებლის მოწაფე ვილჰელმი ტახტზე ასვლისათანავე ქვეყანას ანცვიფრებს თავისი თამამი ჟესტით: პირველი მისი სიტყვა ცნობილი ისტორიული სიტყვებია: „sic volo, sic jubeo!" იგი ღრმად იყო დარწმუნებული თავის მისსიის მოწოდებაში. 70—71 წლების ომმა, ყრმობის დროს ნაპოლეონის ამბების კითხვამ, მეცნიერებისადმი და ხელოვნებისადმი მიდრეკილებამ, რამაც ხელი შეუწყო მამის მიერ საგამგებო აღზრდამ, ვილჰელმში კონცენტრაცია მოახდინა ძველ სარდალთა ძლიერი ნებისყოფისა და თანამედროვე განათლების. არ გასულა წელიწარ-ნახევარიც და თავიდან იშორებს უკვე ხანში გარდასულს და პოლიტიკურს ქურაში გამობრძმედილს დიდს ბისმარკს, რომელმაც ბრძნული გამჭრიახობით და თამამი გენიოსობით გაჰფურჩქნა არა თუ ნორჩი იმპერია, არამედ თვით მისი—ვილჰელმის ძლიერი პიროვნება. მოიშორა ბისმარკი, მკაცრი ჟესტით (ახელმწიფო მმართველობის ბრძნული საჭე გამოსტაცა ხელიდან და ქვეყნიერებას დაანახვა, რომ მას შეუძლიან თავისთვის კანცლერად ყოფნა. მას შემდეგ არც ერთს კანცლერს არ უსარგებლნია დამოუკიდებლობით. ყოველთვის იმპერატორის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და პირდაპირ მის ნების აღმასრულებლად ითვლებოდნენ. ვილჰელმი ჰგრძნობდა თავის ძალას, მას ოცნება მრავალს სიკეთეს ჰპირდებოდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული თავის ძლიერებაში და თავის ერს საქვეყნოდ მოუწოდებდა: „მომყევით, მე მსურს ბრწყინვალე მომავლისაკენ გზა გაგიკაფოთო!" დიახაც თავხედობა იყო ასეთი სიტყვები ახალგაზრდა იმპერატორისა, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვათ, სინამდვილესთან შორს არ ყოფილა გამდგარი და აი რა მხრივ:

ვილჰელმისზრდასთან იზრდებოდა თვითონ სამეფოც. ვილჰელმი მკაცრი იყო, მაგრამ ფრთხილი და გამჭრიახი. ბევრი მას თავქარიანს უძახოდა, მაგრამ იყვნენ და არიან ისეთები, რომელნიც მასში ბრძენ მმართველსაც ჰხედავენ. მან ბევრი რამ სიკეთე მოუტანა გერმანეთს. დიდად ნაყოფიერი გამოდგა მისი მუშაობა რაიხსტაგთან შეთანხმებით. არაა დარგი, სადაც მას არ შეეხედნოს და სრული წესრიგი არ დაემყარებინოს. ფულისა, წონისა და ზომის აღრევა, სამოქალაქო უფლებათა აწეწვ-დაწეწვა, ეკონომიური კრიზისები, ლაშქრობის ორგანიზაციათა საიდეალო მოწყობილება, სოციალური რეფორმები თუ საახალშენო პოლიტიკა მის მიერ წესრიგდებოდა და სასურველს კალაპოტში დგებოდა. თუ ასი წლის წინად მგრძნობიერი მგოსანი შილლერი ბედს უჩიოდა, ღმერთმა ქვეყანა ყველას დაურიგა და გერმანელებს კი მხოლოდ ცა დაუტოვაო, ვილჰელმა მგოსნის ნატვრა აასრულა და გერმანეთს ცის გარდა ხმელეთიც მოაპოვებინა. სწრაფი ზრდა გერმანეთისა არტახებს სწყვეტდა, ყოველისფერი თითქოს განგებ გარედ ეწეოდა თვალის გასახელად, ვაჭრობისა და მრეწველობის დასაწყებად. გამოსავალი გზა ვილჰელმმა მისცა. იგი არა თუ მეფე იყო, არამედ როგორც პირველი მოქალაქე და მემამულე იმპერიისა. საკუთარ მამულში გასვლა-გამოსვლამ, საკუთარ მრეწველობის განვითარებამ მას გარდაუშალა ვრცელი პროგრამა სახელმწიფოს მოქმედებისა ამ სფეროში. „ჩვენი მომავალი ზღვაზეა!"—სთქვა ახალგაზრდა იმპერატორმა და ეს საკმარისი იყო გერმანეთს ახალ ცხოვრების პერსპექტივები გადაჰშლოდა. „ზღვისკენ!"—აი ახალი დევიზი, რომელიც სწრაფად გაისმა მთელს გერმანეთში და მით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო დიდი ბისმარკის ეჭვებს, რომელიც გარედ გასვლას ზედმეტ მტრების შემატებადა სთვლიდა დღეიდან გერმანეთისთვის ცხადი შეიქმნა, რომ იგი ხმელეთით სულშეხუთული იქნებოდა, თუ ზღვაზე არ გაჰკრავდა ფრთას, თუ ზღვის მლაშე ტალღას არ ეზიარებოდა.—„დაიპყარით ზღვა და მალე მსოფლიო ვაჭრობისა და პოლიტიკის ფერხულში ჩაებმევით!"—საბოლოოდ განაცხადა ვილჰელმმა და გერმანეთიც შეუდგა ამ „ზღვის დაპყრობას", 18 8 წელს რაიხსტაგში გავა პირველი საზღვაო პროექტი, რითაც საზღვაო ფლოტის აგება და გაძლიერება დადასტურებულ იქმნა. იმ დღიდანვე საძირკველი ეყრება ახალ-ახალს ვერფებსა და ნავთსადგურებს. მალე კილის არხი განსაცვიფრებელ პანორამად გარდაიქცა, სადაც კუპრსა და ბოლში, ადამიანთა გონების არტახებიდან განთავისუფლებულ ზღვაზე, ფოლადის ჯავშნიანი ვეშაპები მიმოჰქროლავდნენ. საფრანგეთმა პირველმა იწინასწარმეტყველა გერმანეთის საზღვაო ბატონობა: „Une grande puissance navale va entrér en s-cène",—ასე დაათავა სამეთაურო წერილი გაზეთ „ტანის" ერთ-ერთმა პუბლიცისტმა და, მართლაც, ქვეყნიერება განცვიფრებაში მოდიოდა ამ მხრივაც გერმანეთის სწრაფი ზრდით: „ნუ თუ მართლა ახალი საზღვაო სახელმწიფო იზრდება?"—კითხულობდნენ აქეთ-იქიდან და ეს კითხვა ისე არავის აწუხებდა, როგორც ინგლისს, რომელმაც, როგორც ვიცით, არა ერთხელ მიჰმართა გერმანეთს შეეჩერებინა გემების აგება...

De-Ka.

(შემდეგი იქნება)

## მოგზაურის რამე-რუმე

II

**ზემო-ქართლი.**

გომიდან ჩემი განზრახვა იყო ავსულიყავი სოფ. ავლევში და იქაურ სკოლაში შვილი მიმებარებინა. გზა არ ვიცოდი, ცოტაოდენი ბარგიც მქონდა, ამიტომ ფეხით წასვლა ვერ გავბედე. მთელ გომში ერთი ეტლი (ლინეიკა) აღმოჩნდა და ისიც სხვებმა (ქალებმა) დაიბევეს. გომსა და საზოგადოთ ზემო ქართლს ძლიერ ატყვია ოსების გავლენა. ოსების აქეთ რამოდენიმე სოფელია, მთაში, ზოგი ოსი კი გომში დასახლებულა. ოსი ქართველებზე უფრო თანამედროვეა, მეტი მოხერხება და უნარი აქვს არამც თუ სხვებს დაეჩაგვრინოს, არამედ პირიქით. აი სწორედ ეს ოსები გაჩნდნენ ჩვენი წამყვანი ურმით და სულ რაღაც 14 ვერსის მანძილის გავლაში, ისიც უქმე დღეს ითხოვეს 8 მანეთი. მანეთი ბე მივეცი და ხარების შებმა ვთხოვე. არ გასულა სულ ათი წუთი, აღმოჩნდა ავლევისაკენ მიმავალი ურემი—რომელსაც გომში საქმე ჰქონდა და ახლა უკან ცარიელი ბრუნდებოდა, მომარიგეს სამ მანეთად... ოსს განუცხადე აღარ მინდა შენი ურემი მეთქი, მაგრამ მან ერთი მანეთით დამაჯარიმა. ჩემზე უარესი იინი უყო სოფ. თიღვაში მიმავალ ქალებს ეტლის პატრონმა ოსმა: ორი მანეთი ბე გამოართვა, ორი საათი ალოდინა და შემდეგ გამოუცხადა ცხენები ვერ დავიჭირე და ორი მანეთი ცხენებს რომ ვსდიე იმის ქირად შემერგებაო... ქალებმა ბევრი ქოქოლა მიაყარეს, მაგრამ მოგეხსენებათ ქოქოლასა და წყევლას არც ერთი ბანკი არ ახურდავებს. ქალებიც ჩემს მეურმეს მოურიგდნენ 5 მან... მართალია ომის შემდეგ რუსეთში არც არაყი და არც ღვინო (რკინის გზის სადგურების მახლობლად მაინც) არ იშოვება, მაგრამ ჩემი გიო მეურმე ჯერ კარგად გამოიბრუჟა და ხარები მერე შეგვება, შვენის კიდეც ქართველს „გადაკრულში" ყოფნა, გიოც შვენოდა...

ავლევი გომიდან ჩრდილოეთისაკენ არის. გაივლი პატარა მდინარე სურამელას და მიადგები ქართლში ოდესმე ყბად აღებულ სოფელ მოხისს. მოხისის დანახვაზე ჩემი თანამგზავრი ქალები მოცოცხლდნენ, ლაპარაკის ხასიათზე მოვიდნენ, მოხისელთა „ჰკუის" ნაყოფი მიაწბეს. მეც შემიყოლიეს. ჩემი ახლად გაცნობილები ყოფილან სოფ. თიღვიდან, ბორჯომში გათხოვილები. ერთი ქვრივია, მეორე კი მღებავის მეუღლე. ორივე დიდი უკმაყოფილონი არიან ბორჯომელი სახლის პატრონების:

— ოი, იმათი სინსილა გაწყდეს და დაილიოს, გაგონილა ქა, სახლი ვეღარ გვიშოვნია, წლით არავის აღარ აძლევენ, „დაჩნიკები" გვყოფნის, რასაც თქვენ ერთ წელიწადს იძლევით, ისინი ერთ თვეს გვაძლევენო, ლამის არის ცის ქვეშ დავრჩეთ... იმი მარჯვენას ვენაცვალები, ვინც იმათ გაზეთში გააჰრელებს...

სოფელში მიდიან სადვთისმშობლოთ, მაგრამ სწუხლარიან, რომ „ჯამჭურჭლის მორეცხის მეტს ვეღარას მიუსწრებენ"... ბორჯომიდან წუხელის ღამით წამოსულან, ესაყვედურებიან რკინის გზის კონდუქტორ ქალს: სომხის ქალები ვეგონეთ და „არმიანსკი კოროვა" დაგვიძახაო.

— გაგონილა გენაცვალე, აქაო და რუსული პრაშტა-პრუშტი არ იციანო და ყველა ჩვენ გვიბრიყვებს. იმ ჭია მკვდარმა დედა-კაცმა (კონდუქტორმა) ჩვენ წამოგვაგდო და ვიღაც მისიანი დააწვინა და „სპიტ ჩოლუბჩიკო" უთხრა, ჩვენ კი მაღჩი, მაღჩიო დაგვიტატანა.

მუსაიფი გავაბით. ჩემს თანამგზავრ ბანოვანებს, როგორც საზოგადოთ სჩვევია ქართველ ქალებს, დიდათ უყვართ ქართულში რუსული სიტყვების ჩახხირვა. არ იქნა ვერ დავაჯერე, რომ „ზაკუსკა" და „კუხნა" რუსული სიტყვებია და პირველის მაგიერ ითქმის საუზმე, მეორის კი სამზარეულო. შარიც მომდეს ეგ იმერული იქნებაო.

გავიარეთ მოხისი, გავიარეთ ბერძენაული, გავტოპეთ მდ. ფრონი. საზოგადოდ კარგია ქართლის სოფლები, მაგრამ ამ დროს, როცა ყანა მომკილია, სიმინდი აჭრილი და ბუნება გაცარცული, სოფელიც ისეთი სანდომიანი აღარ არის, როგორც სხვა დროს. ქართლი მაშინ არის საუცხოვო, როცა „ყანა ღელავს ზნინავს ოქროს ფერად" და შიგ მწყერი ჰუკჰუკებს.

მეურმე გიო ქვრივს წამოუწვა მუხლზე—შენ ჩემი შვილი ხარო და არხეინად ხვრინვა ამოუშვა. მეხრეობა-კი ჩემმა პატარა გივმა იკისრა. მზე გადიხარა. მივედით სოფელ წეროვანში. მეურმე აქაურია, გავაღვიძეთ. მეინტერესება გავიგო ამ სოფელს წეროვანი ჰქვია თუ ცეროვანი, მაგრამ დაბეჯითებით ვერავინ ამიხსნა. გიო კი ამბობს, ჩემს ბავშობაში წეროვნის უძახოდნენ, მაგრამ როცა „ტარშინობა" შემოვიდა ცეროვნის მერე ეძახიანო. ამრიგად ეხლაც არ ვიცი ამ მშვენიერ სოფელს თავის სახელი წეროსაგან მიუღია, თუ ცერისაგან.

წეროვნისში, თუ ცეროვნისში მეურმემ ხარებს ჩალა დაუყარა და ისევ გზას გაუყენა. ეს სოფელი გვარიანი კარგი მოშენებულია. გლეხის ზოგიერთა სახლი თავადის სახლებს არ ჩამოუვარდება. კარგა გაწყობილი დუქანიც არის, რომლის რუსული წარწერიდან გაიგებ, რომ ის ფალავანდოვის არის. სოფელს სულ რაღაც ნახევარი ვერსტი სიგრძე ექნება. გავცდით თუ არა უკანასკნელ სახლს შევედით სოფელ ავლევში.

აპ. წულაძე.

(შემდეგი იქნება)

## სოფლად

**10. იორის ხეობა.—მიწის ფასები.**

მდ. იორის ნაპირები ერწოდან მოყოლებული ვიდრე სოფ. ხაშმამდის უსარგებლოა, არც საწისქვილო ადგილებია და არც სახნავი მიწები, აქა-იქ ბოხჩასავით შეკრულ სახნავ ადგილებს თუ შეხვდებით, უფრო კი ჭალებს—ან და მდინარეს რაც უჭირავს, იმის მეტს არას ნახავთ.

მომეტებული წილი თ-დ ჩოლოყაშვილების მამულებია ამ მხარეში, მას შემდეგ სახაზინო ადგილებს უჭირავს, სადაც რუსები მოსახლეობენ; გომბორი, მუხრავანი, ნიკოლაევკა, რუსიანი და სართიჭალა—აი ეს სოფლები რუსებისა.

გომბორს ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს და 140 კომლი რუსი ცხოვრობს, მისდევენ მესაქონლეობას და ქირაზედ დადიან, სათიბი, საძოვარი იმდენი აქვთ, რომ გათიბვასაც ვერ ასდიან.

ყველაზედ ნაკლებ მამულიანი რუსია, სადაც 10 კომლი რუსი ცხოვრობს და ეს მამული თ-დ რუსიშვილისაგან შეისყიდეს.

კერძოდ თიანეთის მაზრაში სოფ. სიონთან ბანდარენკომ შეიძინა ზაქარია ჰავჭავაძის მამული 2550 დეს., ამათში სახნავია 300 დეს. დანარჩენი ხელუხლებელი მასალის ტყეა, ევაჭრებიან ამ ტყეს მოჭრით და დესეტინაში აძლევენ 110 მან.

იორის ხეობაში მუხრანსკის მამული ტყე—640 დეს. მდებარე თიანეთის მაზრაში იყიდეს ფშაველებმა და დესეტინაში მისცეს 75 მან. შემდეგის პირობებით: ტყის მოიჯარადრე ვაჭრები გარსია და გულისაშვილი შეუამხანაგდნენ ფშაველებს, მოჭრით ტყე იყიდეს და დესეტინაში 40 მან. უნდა გადიხადონ ამ მიწის ბანკში დაგირავებით, ფშაველებს კი მიწა რჩებათ დესეტინა 35 მანეთად. 18 წლის განმავლობაში მოიჯარადრეებმა ტყე უნდა ასწმინდონ, ფშაველებს კი ტყით სარგებლობა არ შეუძლიანთ.

რასაკვირველია, ფშაველები მოტყუებულნი არიან.

აქეთ მხარეს ტყეების ჩეხვა-გაკაფვა დაიწყეს და მთელ ამ მხარეს ცუდი შედეგი მოელის, მიტომ, რომ მთელი ქვედა პირი ნიადაგი მამულისა რიყიანი ქვისა არის და ადვილად საშლელია, ზედა ნიადაგი კი, რომელსაც 4—5 ვერშოკი შავი მიწა აქვს გადაკრული, ტყის ფესვებს მაგრათ უჭირავს, როდესაც ტყე მოისპობა თავ-სთავათ ზედა ნიადაგი ფხვიერდება და ადგილად იშლება.

ეხლაც ბევრია მოხვავებული გაჩეხილი ადგილები.

ამას საჭიროა ყურადღება მიექცეს, უფრო აქაურ მცხოვრებლებს ევალებათ, რომ ტყე დაზოგვით მოიხმარონ და პირ წმინდათ არ აჩეხონ, რათა მამულებზედ ხელ აღებულნი არ დარჩნენ.

აგრეთვე მირზოევის მამული, რომელიც რუსიეშვილისაგან დარჩა, ოსებმა შეიძინეს და დესეტინაში 35 მან. მისცეს.

თ-დ თადო ჩოლოყაშვილს მამული კი 400 დეს. ოსებმა და ფშაველებმა შეისყიდეს და დესეტინა დაუჯდათ 80 მან.

იმდენად გამჯდარია გლეხობაში სურვილი მამულის შეძენისა, რომ ეს კაცობრიობის გარდამქმნელი ომიც კი ვერ იკავებს. აი, ეხლაც ქართლში საფალავანდო მამულში სოფ. თამარაშენის გლეხებმა ბუჩქნარი ტყე იყიდეს და დესეტინაში 90—120 მან. მისცეს, სახნავი კი ფასობს 600—800 მან.

აგრეთვე სოფ. ქვათეთრში ხიზნებმა სახაზინო მამული შეისყიდეს, დესეტინაში 160 მან. მისცეს, ეს მოწმობს იმას, რომ მიწის ფასი მეტად მაღლა მიდის.

რა მიზეზია, რომ ზოგან მეტის-მეტად მიწის ფასებმა აიწიეს და ზოგან ჩვეულობრივ დარჩა, ამაზედ შემდეგისათვის მექნება საუბარი, მხოლოდ ჯერ კი ჩემს მგზავრობას შევეხები.

Legatus.

## დაბა-სოფლები

**სოფ. ახალგორი** (ქსნის ხეობა). ამ რამდენიმე დღის წინად წავიკითხე გაზეთებში ცნობა, რომ სოფ. ახალგორში გაიხსნა საკოოპერაციო დუქანიო. ვინც არ იცნობს სოფ. ახალგორს და არ იცის მისი ცხოვრება, შეიძლება ყურადღება არც-კი მიაქციოს ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან ფაქტს.

წარმოიდგინეთ ვიწრო ხეობა, ორივე გვერდზე აყუდებული, მაღალ ტყით შემოსილი მთები; ხევის ძირზედ მოქუხს წყალი—მდინარე ქსანი. მის მარცხენა ნაპირას მისდევს საურმე გზა; ეს არის ერთად-ერთი გზა ამ ხეობაზე. ერთ ადგილას ამ გზის ორივე მხარეს გაშენებულია დუქნები და სამიკიტნოები, ხოლო უკან ამ სავაჭროებს მიდგმული აქვს ამ ვაჭართა საცხოვრებელი სახლები. აი, ეს არის ახალგორი. მგზავრი მთიდან ბარში, თუ ბარიდან მთაში მიმავალი ამ გზაზედ მიდის, ქსანს რომ მარცხნივ მისდევს, ისე რომ ახალგორს და მის დუქნებს ვერას გზით ვერ ასცდება, ისე რომ დახელოვნებულ ჩარჩ სომხებს აქ დიდი პრაქტიკა უჩნდებათ მთის გულუბრყვილო ხალხის ყვლეფაში. სცდილობენ ყოველივე მთის ნაწარმოები: ყველი, ერბო, მატყლი ჩალის ფასად ჩაიგდონ ხელში; სამაგიეროდ მათი სავაჭრო ყველაფერი ძვირფასად ღირს; მაგალითად, შაქარი გირვანქა ხათრით ათი შაურია.

კოოპერატიულ მაღაზიის გახსნით ცოტად თუ ბევრად ამ ჩაჩ-ვაჭრების თარეშს ბოლო ელება ფრთა შესამჩნევად ეკვეცება.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვისაც კი რამე ღვაწლი მიუძღვის ამ კეთილ საქმის დაწყებაში და უფრო დიდი მადლობის ღირსნი იქნებიან თუ კეთილ-გონივრულად აწარმოებენ ამ საქმეს დაჩაგრულ ხალხის სასარგებლოდ და თვის სასახელოდ.

ხოხო.

## შემოწირულება

ბატონო რედაქტორო!

6 ბა მოგვეცით ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობის სახელით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ. ნიკოლოზ ანტონისძე საბაევს, რომელმაც კეთილ-ინება და ომში მოკლული შვილის, პრაპორშჩიკ ანტონ ნიკოლოზის ძე საბაევის ხსოვნის აღსანიშნავად შეწირა ბათუმის ქართულ სკოლას სამასი მანეთი (300 მან.)

გამგ. თავჯდომარე ექიმი გრ. ელიავა.
მდივანი ამ. ინწკირველი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 7 „ 58 „ | დილ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . | 7 „ 58 „ | საღ. |

სუსუნატი
ვისაც [illegible] სამუ-
მოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობი-
გან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ
სი თავიდან მოშორება შეიძლება
სუნატის წამლით პირველ-ხარისხ-
ნი „გონოზანით". ეს წამალი
რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძვე-
ბულ სუსუნატს. საშუალება ნაცა-
ტფილისის, რუსეთისა და საზღვ-
გარეთელ ექიმებისა და პროფესო-
ბის მიერ და აღიარებულია საუკ-
სო წამლად სუსუნატის მოსარჩენა-

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო
იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომ-
საც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზ-
ის აუცილებლად აგიხსნით, რომ
აბები საუკეთესო და რადიკალ-
საშუალებაა. საშუალება ერთნაი-
ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებ-
მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშ-
გო წამლობაზე, რადგანაც 3 კო-
ფი და სამი შუშხაპუნებით რომე-
წამალთან არის ერთად, სავს-
ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე
საგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირ-
მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული
ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზ-
ბა 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკ-
შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ
ლისი, თხინვალის ქუჩა № 12 ოთ-
მახლობლივ გოლოვინის პროსპექ-
და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхин-
ская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—
ათამდე. წამალი იყიდება მ-
დღე. —300

20 ენკენ. ავლაბარში იხსნება ახალი სასადილო
„სამოთხე"
კახეთის ქუჩა, № 7, სახლი ძეგველოვებისა.
სასადილოში იქნება ყოველგვარი საჭმელები, როგორც ევროპიული, ადგილობრივი და იმერული გამოცდილი მზარეულის ხელმძღვანელობ
მსურველთ სადილი სახლშიაც გაეგზავნებათ.
სასადილოში საუკეთესო სისუფთავე და კარგი მოპყრობაა.
(1—33)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—231—17)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ტ ჭიშ. მა
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქა რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთა
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივ ნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათ „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. თლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „ და „ხათაბალა".
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Ти почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзэ.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვეღოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვი მრეწველოვებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „შოზნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფ ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარ რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.